1 სართულის გეგმა
მაშტაბი. 1:100



ექსპლიკაცია	
1) საცხოვრებელი ბინა	
2) ჯიბის უჯრედი	21.8 კვ.მ
3) დერეფანი	18.30 კვ.მ
4) აივანი	
5) ავტოფარეხი	
6) ლიფტი	5.9 კვ.მ
7) დამხმარე ფართი	
8) პომერციული ფართი	204.4 კვ.მ

გარე ავტოსადგომები

ავტოფარეხი 1 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 2 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 3 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 4 - 27.5 კვ.მ
ავტოფარეხი 5 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 6 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 7 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 8 - 13.8 კვ.მ
ავტოფარეხი 9 - 13.8 კვ.მ

1 სართულის გეგმა
მაშტაბი. 1:100
ბლოკი 6A

ფორმატი ა-2

პროექტის სახელწოდება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი

ქ. თბილისში ვარაქთილი 2-ა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის არსებული მიწის ნაკვეთი

პროექტის ავტორი არქიტექტორი

ანა ჯაჯანიძვილი

პროექტის არქიტექტურული ნაწილი შემოწმებულია არქიტექტორი: გიორგი ლოთიშვილის მიერ.

შენიშვნა:

ნახაზი მომზადებულია მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მიხედვით

ზომები მოცემულია სანტიმეტრებში

1. იატაკის ზედაპირი იქნება ბეტონის ან მსგავსი არაწვადი მასალის, რომელსაც არ უქმნება შეწოვის უნარი
2. განათების სამრთავები ელექტრო, განმანათლებლები ელექტრო ჩამრთველები და დენმრთველი, ტუმბოსრულების მართველორგანო, მოწყობილობის სამრთავები წელილადენი სისტემის მოწყობილობების მართველორგანოები და დამცავი და ორმხრივი საკონტაქტო სისტემების სამრთავებია მოწყობა სტანდარტის 309-ე ქვეთავის შესაბამისად".

თბილისი 2022 წ.

შენიშვნები:

იატაკის ზედაპირი იქნება ბეტონის ან მსგავსი არაწვადი მასალის, რომელსაც არ უქმნება შეწოვის უნარი

0.00
0.00
იატაკის მოპირკეთების ნიშნული

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა აპრილი. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა № 38, გამოცხადდა: **შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“-ს (რეგისტრირებული 21.03.2013 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დაბა წყნეთი, ოქტომბრის ქუჩა, № 18, საიდენტიფიკაციო კოდი: 454407721) დირექტორი ნინო ნემსაძე** (დაბადებული 20.12.1996 წელს, პირადი № 01008051208, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ნიკოლოზ ყიფშიძის ქ. N 9 ბ. 12). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **ანა კაჭკაჭიშვილს** (დაბადებულს 27.08.1985 წელს, პირადი ნომერი: 01024037487) **შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“-ს** საქმების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21044266. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა აპრილს მე, **შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 454407721) დირექტორი ნინო ნემსაძე** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მიმნდობი“, უფლებამოსილებას ვანიჭებ **ანა კაჭკაჭიშვილს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს“ მასზედ, რომ მან წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები მის კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ქ. თბილისისა და ნებისმიერი სხვა მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის საპატრულო პოლიციაში, სს „თელასში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, სს „თბილისი ენერჯი“-ში, ნებისმიერ წყალმომარაგების, გაზმომარაგების, ელ.ენერგიით მომარაგების კომპანიაში, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, განცხადებები, პროექტები, მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვა; შეათანხმოს პროექტები, განაშენიანების გენერალური გეგმა, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტაცია, შეიტანოს განცხადებები, აიღოს ნებართვები, მათ შორის საპატრულო პოლიციიდან, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ორი კი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21044266

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507-ე დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 10.00 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 12.00 ლარი.

მიმნდობი: ---------ნინო ნემსაძე----------

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

84168146430721

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210428303

რეგისტრაციის თარიღი

29.04.2021 წ

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38
ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18